

# ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ ახუთის მაჟორიტარი დეპუტატის ზურაბ ჯიქია ანგარიში

მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოვადგენ მაჟორიტარ დეპუტატს სოფელ ახუთიდან, ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე . საანგარიშო პერიოდში მაქსიმალურად ვხვდებოდი მოსახლეობას, რომლებსაც ვეხმარები და ვშუამდგომლობ სოციალურ დახმარებების მიღებაში, საოპერაციო თანხების მოძიებასა და დაფინანსებაში. სოფელში სამ ოჯახს , რომლებსაც მეწყრის შედეგად დაზიანებული ქონდათ საცხოვრებელი ფართები, შევუძინეთ ოჯახები . სათანადო დახმარებას ვუწევ მოსახლეობას უფასოდ ხვნა-თესვის ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. სოფელში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, აშენდა ახალი ხიდი მდინარე ზანაზე, დაიგო ასფალტირებული გზა სოფლის ცენტრიდან მარტვილის საზღვრამდე. მიმდინარეობს მეორე ახუთში 4 კმ მონაკვეთის გზის ბეტონის საფარის დაგება. მოეწყო ხიდ-ბოგირები. აშენდა წისქვილები , გარემონტდა საბავშვო ბაღები. როგორც კომისიის თავმჯდომარე სისტემატიურად ვიწვევ კომისიის სხდომებს, ვთანამშრომლობ საკრებულოს სხდომებზე დღის წესრიგის მომზადებასა და გადაწყვეტილების მიღებაში .